გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისში **01.12.01.003.222 01.12.01.003.215 01.12.01.003.223 01.12.01.003.250 01.12.01.003.216** საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთები მდებარეობს **სამრეწველო ზონა 1 ში (ს-1**). მოქმედი „ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **სამრეწველო ზონა 1-**ში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები; შესაძლებელია ს-1-ის ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი საზოგადოებრივი შენობების/სამყოფების არსებობა არაუმეტეს საერთო ოდენობის 25%-ის, კანონმდებლობის შესაბამისად; **ასევე სასაწყობო, ელექტროქვესადგურებისა და წყლის რეზერვუარებისათვის განკუთვნილი ობიექტების განთავსება.**

ამავე 14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების **მე-8 მუხლის მე-7 პრიმა პ**უნქტის შესაბამისად, **განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავების გარეშე,** განაშენიანების რეგულირების წესების მე-19 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შესაძლებელია მიწის ნაკვეთების სამშენებლო გამოყენება, თუ ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარება ხორციელდება **ერთეული ობიექტის** (დამხმარე შენობა-ნაგებობებით ან მის გარეშე) განთავსების მიზნით (გარდა მრავალბინიანი ფუნქციის შემცველი ობიექტებისა), ტერიტორია უზრუნველყოფილია სათანადო სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურით და განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავება არ წარმოადგენს საპროექტო ტერიტორიის დაგეგმარების ერთადერთ შესაძლებლობას.

ჩვენი კომპანიის მიერ აღნიშნულ ტერიტორიაზე დაგეგმილია ზონაში დასაშვები სასაწყობო ობიექტის განთავსება, შესაბამისად არ ხდება ფუნქციური ზონის ცვლილება. ტერიტორია წარმოადგენს დაგეგმარებულ კვარტალს, განაშენიანება ჩამოყალიბებულია და ვითარდება სამრეწველო/ სასაწყობო ფუნქციით, ტერიტორია უზრუნველყოფილია სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურით. კავშირი ხორციელდება გურამიშვილის გამზირიდან ასევე სერვიტუტის გამოყენებით დ. გურამიშვილის ქუჩიდან. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასაწყობო ობიექტის გაჩენით არ მოხდება არსებითი საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათის ცვლილებებს შეტანა არსებულ განაშნეიანებაში და განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავება არ წარმოადგენს ტერიტორიის განვითარების ერთადერთ შესაძლებლობას

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ 14-39 დადგენილების მე-8 მუხლის მე-7 პრიმა პუნქტის შესაბამისად, გასცეთ დადებითი ქალაქგეგმარებითი დასკვნა, რათა ტერიტორიის განვითარება განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების წესების მე-19 მუხლის მოთხოვნათა დაცვით განაშენიანების რეგულირიების გეგმის დამუშავების გარეშე.

პატივისცემით,